მცირე წყალაღების ინდივიდუალური მოწყობილობით პროფილური მომხმარებლის საირიგაციო სისტემაზე მიერთებისა და უმრავი ქონების წყლით მომარაგების ხელშეკრულება (არაუმეტეს 50 მმ დიამეტრით წყალაღებისა)

№:_____; **თარიღი:** „_____“ „_____“ 20__ წელი;

I. მხარეთა რეკვიზიტები:

1.	**მიმწოდებელი:**	
	დასახელება:	შპს „საქართველოს მელიორაცია“
	საიდენტიფიკაციო ნომერი:	204524568
2.	**მიერთების მსურველი (განმცხადებელი):**	
	სახელი გვარი/დასახელება:	
	პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:	
	ტელეფონის ნომერი ძირითადი:	ძირითადი:_____; ალტერნატიული:[1]_____;
	ელ.ფოსტა (სურვილის შემთხვევაში):	
	მისამართი:	
	საბანკო რეკვიზიტები (სურვილის შემთხვევაში):[2]	

II. მცირე წყალაღების ინდივიდუალური მოწყობილობის მიერთების პირობები

3.	**მოხმარების მიზნობრიობა და უმრავი ქონების მონაცემები, სადაც უნდა მოხდეს საირიგაციო წყლით მომარაგება:**	
3.1.	დაზუსტებული ადგილი (მისამართი), სადაც უნდა მოხდეს წყლით მომარაგება:	_____;
3.2.	უმრავი ქონების საკადასტრო კოდი[3]:	_____;
3.2.1.	საკადასტრო კოდის არარსებობის შემთხვევაში განაცხადზე თანდართულია მიწის აზომვითი ნახაზი; ან	☐ დიახ;
3.2.2.	მიწის ნაკვეთი მიმწოდებლის მიერ იდენტიფიცირებულია ადგილზე და მისი ნომერი:	☐ დიახ, ასევე, N:_____;
3.3.	უმრავი ქონების (მიწის) მფლობელობა:	☐ მესაკუთრე; ან ☐ დროებითი მფლობელი.
3.4.	წყლის მოხმარების მიზანი (მონიშნეთ ერთ-ერთი):	
3.4.1.	☐ მხოლოდ საირიგაციო:	საირიგაციო ფართობი:_____ მ^2; ან
3.4.2.	☐ საყოფაცხოვრებო და საირიგაციო ერთად:	ასევე საერთო ფართობი:_____; მ^2.
3.5.	სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახეობა (მონიშნეთ ერთ-ერთი):	☐ ერთწლოვანი; ☐ მრავალწლოვანი; ან ☐ შერეული.
4.	**მცირე წყალაღების წერტილი**	
4.1.	გამანაწილებელი არხის დასახელება სადაც განთავსებულია / უნდა განთავსდეს მცირე წყალაღების წერტილი:	_____;
4.2.	მცირე წყალაღების წერტილის მდებარეობის მისამართი ან ადგილის აღწერა:	_____;
4.3.	მცირე წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები (სურვილის შემთხვევაში):	_____;
4.4.	მცირე წყალაღების მოწყობილობის დასაშვები მაქსიმალური დიამეტრი (არაუმეტეს 50 მმ):	☐ 0 - დან - 50 მმ-ის ჩათვლით დიამეტრის მილით; ან ☐ 50 მმ-ზე მეტი - არ ივსება განაცხადის ეს ფორმა.
4.5.	**საირიგაციო სისტემაზე მოწყობილია მცირე წყალაღების მიწოდების წერტილი:**	☐ **დიახ მოწყობილია** - ასევე შეავსეთ: ა) ☐ მიწოდების წერტილის N:_____; ან ბ) ☐ ნომრის არარსებობის შემთხვევაში განაცხადზე თანდართულია წყალაღების წერტილის ფოტოსურათი: ☐ ახლო ხედით და ☐ შორი ხედით. **შენიშვნა:** მიწოდების წერტილის ნომრის არ არსებობის შემთხვევაში, *მიმწოდებელი უფლებამოსილია დაადგინოს განაცხადზე ხარვეზი, წესებთან და ტექნიკურ ნორმებთან შეუსაბამობის საფუძვლით.*
		☐ **არა - საჭიროა მცირე წყალაღების წერტილის მოწყობა.** ასევე შეავსეთ შემდეგი 4.5.1 პუნქტი:
4.5.1.	**მცირე წყალაღების მიწოდების წერტილის მოწყობის მოთხოვნის შემთხვევაში, მონიშნეთ სასურველი მომსახურების სტანდარტული პირობის ნომერი (მონიშნეთ ერთ-ერთი):**	
ა)	☐ N:01(09.07.2024 N25/1 სემეკის გადაწყვეტილება), მონიშვნის შემთხვევაში შეავსეთ:	ა) ☐ ბეტონის არხზე - 50 ლარი; ან ბ) ☐ მიწის არხზე - 70 ლარი.
ბ)	☐ სხვა სტანდარტული პირობით - მონიშვნის შემთხვევაში, მიუთითეთ შეთავაზებული სტანდარტული პირობის N:_____, ასევე შეავსეთ:	ა) ☐ მიწის არხზე - _____ ლარი; ან ბ) ☐ ბეტონის არხზე - _____ ლარი.
5.	**მოთხოვნილი წყლის მოცულობა და საფასური:**	
5.1.	წყლის მისაღები მაქსიმალური მოცულობა თვის განმავლობაში: (ჰა-ზე ნორმა: ერთწლოვანზე-1411მ^3, მრავალწლოვანზე - 1235მ^3)	_____მ^3;
5.2.	სემეკის მიერ სამელიორაციო მომსახურებაზე (ირიგაცია) დადგენილი ტარიფი: (წყლის მიწოდების მომსახურებაზე წლიური გადასახდელი)	_____ლარი;
6.	**მცირე წყალაღებაზე გადასახდელი თანხა და მომარაგების დაწყება:**	
6.1.	წლიური მომსახურების ღირებულება: - რომელიც წარმოადგენს მონიშნული 3.4.1 ან 3.4.2 ველში მითითებული მიწის ფართობისა და 5.2-ველში მოცემული საფასურის ნამრავლს.	_____ლარი (არანაკლებ 15 ლარისა); (მაგ: 0.3 ჰა * 75 ლ = 22,5 ლ)
7.	**მცირე წყალაღების მიწოდების წერტილის მოწყობის მოთხოვნის შემთხვევაში:**	

[1] თუ განმცხადებელი ალტერნატიული ნომერს არ მიუთითებს, განცხადება ამ მიზეზით არ უნდა დახარვეზდეს. ამასთან, განმცხადებელი პასუხისმგებელია აღნიშნულიდან გამომდინარე დამდგარ შედეგებზე;
[2] ამ განცხადების დახარვეზების შემთხვევაში თანხა დაბრუნდება მითითებულ საბანკო ანგარიშზე;
[3] ფიზიკური პირის შემთხვევაში - უმრავი ქონების საკადასტრო კოდის ნაცვლად, შესაძლებელია, განაცხადზე თანდართული იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს;

	ივსება, მხოლოდ მცირე წყალაღების მიწოდების წერტილის მოწყობის მოთხოვნის შემთხვევაში, სადაც უნდა მიუთითოთ გადასახდელი თანხა, ჯამში: - რომელიც წარმოადგენს მიწოდების წერტილის მოწყობის საფასურის (4.5.1. პუნქტში მონიშნული საფასურის) და წლიური მომსახურების ღირებულების (6.1) ჯამს.	_____ლარი. (მაგ: 50 ლ + 22,5 ლ =72,5 ლ)
8.	**გადასახდელი თანხის განწილვადებით გადახდა:**	
8.1.	გსურთ თუ არა გადასახდელი თანხის 12 თვეზე განწილვადება:	☐ არა; ან ☐ დიახ - დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, ასევე მიუთითეთ წინასწარ გადახდილი თანხა:_____ ლარი (არანაკლებ 15 ლარისა);
9.	**წყალმომარაგების დაწყების თარიღი:** ***შენიშვნა:*** *წლიური მომსახურების საფასური დაგერიცხებათ წყალმომარაგების დაწყების პირველივე კალენდარულ თვეში.*	ა) ☐ მომდევნო კალენდარული წლიდან; ან ბ) მიმდინარე წელს: ☐ „__“ „___“ 20__ დან.

III. ზოგადი დებულებანი

10. წინამდებარე ხელშეკრულება შემუშავებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) 2023 წლის 30 აგვისტოს N39 დადგენილებით დამტკიცებული „საირიგაციო წყლის მიწოდების წესების“ (შემდგომში - წესები) და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ ხელშეკრულებასა და წესებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წესებს.

11. წინამდებარე ხელშეკრულებით, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიწოდების რეჟიმის შესაბამისად, საირიგაციო სისტემის მეშვეობით მიაწოდოს მომხმარებელს წყალი, ხოლო მომხმარებელი კისრულობს ვალდებულებას დაიცვას წესებით დადგენილი პირობები, საირიგაციო სისტემიდან წყლით ისარგებლოს ამ წერტილის მეშვეობით და დროულად გადაიხადოს მოხმარებული წყლის საფასური. ამასთან, ამ განაცხადით მცირე წყალაღების მიწოდების წერტილის მოწყობის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი მოაწყობს მოთხოვნილ მიწოდების წერტილს ამ განაცხადის რეგისტრაციის თარიღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

12. მცირე წყალაღების წერტილი და მცირე წყალაღების ინდივიდუალური მოწყობილობა მიმწოდებლის მიერ უნდა აღირიცხოს მიწოდების წერტილად, მიენიჭოს შესაბამისი ნომერი. მცირე წყალაღების ინდივიდუალური მოწყობილობა წარმოადგენს მომხმარებლის საკუთრებას, რომლის მეშვეობით მომხმარებელი მცირე წყალაღების წერტილიდან თავად უზრუნველყოფს უძრავი ქონების წყალმომარაგებას.

13. მხარეები ვალდებული არიან, დაიცვან წესების მოთხოვნები. საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება წესებითა და მოქმედი კანონმდებლობით.

IV. მცირე წყალაღების მოწყობილობით უძრავი ქონების მომარაგების პირობები

14. **მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**

14.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდების წერტილში მომხმარებლისთვის წყლის უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მიწოდება წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად, ყოველწლიურად დამტკიცებული, წყლის მიწოდების რეჟიმის ფარგლებში.

14.2. მომხმარებელი ვალდებულია მცირე წყალაღების მოწყობილობის მეშვეობით საირიგაციო წყალი მოიხმაროს პროფილური (საირიგაციო/საყოფაცხოვრებო) მიზნობრიობით და რაციონალურად.

15. **წყალსარგებლობის პირობები**

15.1. მომხმარებლის მიერ, საირიგაციო სისტემიდან მცირე წყალაღების ინდივიდუალური მოწყობილობით სარგებლობა და უძრავი ქონების მომარაგება შეიძლება განხორციელდეს, მომხმარებლის სურვილისამებრ ნებისმიერ დროს, წყლის მუდმივად მიწოდების რეჟიმით (მორწყვის ნორმის ფარგლებში). ამასთან, თუ მომხმარებელი აფერხებს სხვა პროფილური მომხმარებლ(ებ)ის წყალმომარაგებას, მიმწოდებელს უფლება აქვს მომხმარებლის მიერ მცირე წყალაღების ინდივიდუალური მოწყობილობით სარგებლობა (წყლის მოხმარება) დროებით შეზღუდოს, წინასწარ განსაზღვრული დროით (არაუმეტეს ერთი კვირისა), ისე რომ გათვალისწინებულ იქნეს ამ მომხმარებლის ინტერესი.

15.2. მორწყვის ნორმა ითვლება, თვის განმავლობაში მიღებული წყლის მოცულობიდან. ამასთან, საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის საირიგაციო და არასაირიგაციო მიზნით მოხმარების გამიჯვნა არ არის სავალდებულო.

15.3. ნორმაზე მეტი წყლის მოხმარება დასაშვებია მხოლოდ წესებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, რომელიც წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული მიმწოდებელთან. დეფიციტის დროს დაუშვებელია ნორმაზე მეტი წყლის მოხმარება.

15.4. დაუშვებელია მცირე წყალაღების წერტილის მოწყობის გარეშე საირიგაციო სისტემიდან წყლის მოხმარება, საირიგაციო სისტემაზე სხვა მოწყობილობებისა თუ მილსადენის თვითნებურად მიერთება, შეწყვეტილი წყლის მიწოდების თვითნებური აღდგენა/მოხმარება, მომხმარებლის მიერ შეუთანხმებელი წყლის მოხმარება, მათ შორის ზენორმირებული მოხმარება - აღნიშნული ქმედება წარმოადგენს საირიგაციო წყლის უკანონო მოხმარებას და წყლის უკანონო მომხმარებელს გარდა მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა, ასევე დაერიცხება უკანონოდ მოხმარებული წყლის ღირებულება და დაჯარიმდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

16. **მომსახურების საფასური**

16.1. მომხმარებლის მიერ მცირე წყალაღების საშუალებით, საირიგაციო სისტემიდან წყლის მოხმარებაზე ვრცელდება სამელიორაციო მომსახურებისთვის (ირიგაცია) ტარიფი, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო კულტურის ირიგაციას ჰექტარზე მთელი წლის განმავლობაში.

16.2. მომხმარებლის მიერ, ერთდროულად საირიგაციო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყლით მოხმარების შემთხვევაში, სამელიორაციო მომსახურების საფასურის დარიცხვა განხორციელდება უძრავი ქონების საერთო ფართობის მიხედვით, ამასთან, მხოლოდ საირიგაციო მიზნით წყლის მოხმარების შემთხვევაში - საირიგაციო ფართობის მიხედვით.

16.3. მომხმარებლის მიერ, ნორმირებულ მოხმარებაზე მეტი წყლის მოხმარებისას, ნორმაზე მეტ წყლის მოცულობაზე დარიცხვა განხორციელდება განცალკევებულად.

17. **მომსახურების საფასურის დარიცხვის და გადახდის პირობები**

17.1. მომსახურების საფასურის გადახდა ხდება წესების შესაბამისად, ყოველთვიურად სადაც, მომხმარებლისათვის მომსახურების საფასურის დარიცხვა ხორციელდება ქვითრის მეშვეობით, ხოლო ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს უნაღდო წესით, ქვითარში ან მიმწოდებლის ვებგვერდზე მითითებული გადახდის ერთ-ერთი საშუალებით.

17.2. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ გადაიხდის მომსახურების საფასურს ქვითარში მითითებული ვადის დაცვით, მიმწოდებელი ვალდებულია, მომხმარებელს განუსაზღვროს მომსახურების საფასურის გადახდის დამატებითი ვადა.

17.3. მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის დამატებით ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს მომარაგება ან აუკრძალოს მომხმარებელს საირიგაციო წყლის მოხმარება.

ხელშეკრულების დანართ(ებ)ი:

☐	დანართი N1	მცირე წყალაღების ინდივიდუალური მოწყობილობით მიერთების და მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი
☐	დანართი N2	მოწყობილი მცირე წყალაღების წერტილის ფოტოსურათები (მიწოდების წერტილის ნომრის არ არსებობის შემთხვევაში)

ხელმომწერის სახელი, გვარი:_____; **ხელმოწერა:**_____.